ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №29

2022 წლის 26 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

## „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №07 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 17/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016332) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ასლან საგანელიძე

*დანართი*

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

| N | თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| | საკრებულოს თანამდებობის პირები | |
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 4961 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე | 3751 |
| 3 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 3267 |
| 4 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 2662 |
| 5 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 2420 |
| 6 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | 1936 |